უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით ადგილნაცვალი პირების სწავლების დაფინანსების წესი

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით ადგილნაცვალი პირებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს.

მუხლი 1. დაფინანსების ოდენობა

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით ადგილნაცვალი სტუდენტების დაფინანსებისათვის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის 2025 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოიყოს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

მუხლი 2. დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი

1. ამ წესით დაფინანსება შეიძლება მოიპოვონ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან დევნილმა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებმა, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, არ აქვთ მინიჭებული სრული სახელმწიფო სასწავლო გრანტი (მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში), არ სწავლობენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და არ მიუღიათ დაფინანსება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისგან.
2. ამ წესით დაფინანსების მიღება შეუძლიათ ასევე ბაკალავრიატის საფეხურის იმ სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, მიღებული აქვთ დაფინანსება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისგან და 2023-2024 აკადემიური წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების 80%-ში მაინც მიღებული აქვთ უმაღლესი შეფასება -A.

მუხლი 3. დაფინანსების პრინციპი

1. დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა თანაბრად ნაწილდება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტებზე. მაგრამ ერთი სტუდენტის მიერ მიღებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 600 ლარს.

2. სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და ამ წესით გაცემული თანხის ჯამი არ შეიძლება აღემატებოდეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალურ ოდენობას (2250 ლარი).

მუხლი 4 . განცხადების წარდგენის ვადა

1. სტუდენტებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესის მე–2 მუხლით განსაზღვრულ პირობებს, დაფინანსების მისაღებად განცხადება მე-5 მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარადგინონ 2025 წლის 17 თებერვლის 18 საათამდე.

მუხლი 5. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა

1. დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტებმა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციაში უნდა წარმოადგინონ:
   1.1 განცხადება;
   1.2 საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
   1.3 დევნილის მოწმობა;
   1.4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობა;
   1.5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას.)
   1.6 პირადი საბანკო ანგარიში.